პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა
და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი
13 აგვისტო
1941 წ.
№ 190 (6195)
ფასი 15 კაპ.

6755

სახალხო ომი

გიგანტურ ფრონტზე გაფთრებული ბრძოლები სწარმოებს საბჭოთა გმირულ ჯარებსა და გერმანელ ფაშისტთა ურდოებს შორის. ახლა სულ უფროდაუფრო ნათელი ხდება, რომ გერმანიის ფაშიზმის „ელვისებრი ომი“ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ჩაიშალა.

თვით ფაშისტური პრესაც იძულებულია აღიაროს ის სინდისენი, რომლებსაც გერმანიის ფაშისტური სარღოლობა წაჰყყდა. მაგალითად, გერმანიის ფაშისტური პარტიის ხელმძღვანელი ორგანო „ფელკიშერ ბეობახტერი“ შერეწუნებული სწერს, რომ „საბჭოთა კავშირი ისეთი მტერი აღმოჩნდა, რომელიც განსაკუთრებული შეუპოვრობით გვიტყობს და ბრძოლებში თავისი სიმტკიცით გერმანიის ყველა წინანდელ მოწინააღმდეგეს სჯობნის. სსრ კავშირი ყველაზე საშიში ყველა მტრებს შორის, რომლებთანაც დღემდე საქმე ნაქმი ჰქონია გერმანიას“.

ფაშისტური „ტოტალური ომი“ ყველაზე სასტიკი და მძვინვარე ლაშქრობაა მტრისა მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ. ერთ-ერთი ფაშისტი თეორეტიკოსი — ბაზნე—სწერდა, რომ „ტოტალური ომს“ „მთელი ხალხების სავსებით მოსპობისათვის ბრძოლის“ ხასიათი ექნებაო.

პირსისხლიანი ჰიტლერი არაერთხელ ამბობდა, რომ იგი მზად არის არა მარტო ამოფლეთოს ყველა იმ ქვეყნის მოსახლეობა, რომელთა დაპყრობაც მას ვანზრახული აქვს, არამედ თავის დამპყრობელურ გეგმებს მსხვერპლად შესწიროს გერმანელი ხალხის მილიონობით სიცოცხლე. ჰიტლერი „ტოტალური ომის“ შესახებ ამბობდა: „მე იმ ომს ვაწარმოებ ისე, რომ ყურადღებას არ მივაქცევ დანაკლისს. თვითეულმა ჩვენთაგანმა იცის, თუ რას ნიშნავს „ტოტალური ომი“. მე არ მოვეკიდებიი არავითარ ნგრევასა... ჩვენ ბარბაროსები ვართ და ვვეხლა ბარბაროსები ვიყოთ... თუ მე ერთ მშვენიერ დღეს იძულებულო გავხდი ომი გამოვაცხადო, შემიძლია თუ არა ნება მივცე თავს საჭმე დავაყოვნო ან მერყეობა დავიწყო 10 მილიონი გერმანელის ბედის გამო, რომელსაც მე სასაკვდილოდ გავგზავნი“. ამ სიტყვებში ჩაქსოვილია XX საუკუნის ქანაბლების მთელი გიჟმაძღარი სისხლისმსმელობა.

„ტოტალური ომი“ უდიდეს მსხვერპლს მოითხოვს გერმანიის ხალხისაგან. დღემდე ჰიტლერელი მანდატები ახერხებენ გერმანელი ხალხის მილიონობით სიცოცხლე. ჰიტლერი „ტოტალური ომის“ შესახებ ამბობდა: „მე იმ ომს ვაწარმოებ ისე, რომ ყურადღებას არ მივაქცევ დანაკლისს. თვითეულმა ჩვენთაგანმა იცის, თუ რას ნიშნავს „ტოტალური ომი“. მე არ მოვეკიდებიი არავითარ ნგრევასა... ჩვენ ბარბაროსები ვართ და ვვეხლა ბარბაროსები ვიყოთ... თუ მე ერთ მშვენიერ დღეს იძულებულო გავხდი ომი გამოვაცხადო, შემიძლია თუ არა ნება მივცე თავს საჭმე დავაყოვნო ან მერყეობა დავიწყო 10 მილიონი გერმანელის ბედის გამო, რომელსაც მე სასაკვდილოდ გავგზავნი“. ამ სიტყვებში ჩაქსოვილია XX საუკუნის ქანაბლების მთელი გიჟმაძღარი სისხლისმსმელობა.

ომის ხალხური ხასიათი აშკარად იჩენს თავს ფაშიზმის ამ ბოლო და მძვინვარე პარტიზანულ მოძრაობაში, რომელიც გერმანელ ფაშისტს ფუჭად აფაზაკებს ზურგში ფრონტს უქმნის. მტერი გადაშენარ მიწაზე მოდის. მას ყოველ ნაბიჯზე საფრთხე ემუქრება. მამაცი პარტიზანები ანგრევენ მის კომუნიკაციებს, ზეადზედ მიაქცევ იერიშებს მტერზე — ყოველთვის მოულოდნელად, ყოველთვის მარჯვედ.

საბჭოთა ხალხის მაგალითით ადფრთოვანებულნი, ანლიერებენ თავიანთ ბრძოლას ჰიტლერის მიერ დაპყრობილი ქვეყნების ხალხები. ფართოვდება და მტკიცდება იმ ხალხების ერთიანი ფრონტი, რომელნიც თავიანთი განთავისუფლებისათვის საბრძოლველად აღსდგნენ. მრავლდება და იზრდება სახალო ომების კერები. ჰიტლერის პირსისხლიანი ხროვისადმი, ჰიტლერიზმისადმი დაუშრეტელმა, ყოველს გამაკაცმტვერებელმა სიძულვილმა ბოლო ერმია საბჭოთა მიწა-წყალზე შემოჭრილ ჰიტლერელ ურდოებს.

ლენინგრადი საბჭოთა ხალხი საბალხო ომისათვის ალსდგა. მასთან ერთად სახალხო ომისათვის გამოდის მთელი სლავური სამყარო. ჰიტლერის გერმანიის წინააღმდეგ იბრძვის ძლიერი დიდი ბრიტანეთი. ხალხთა ერთიანი ფრონტის ეს უდიდესი ძალა ნაცარტუტად აქცევს არა მარტო „ტოტალური ომის“ თეორიას, არამედ იგი ჰიტლერიზმს, ჰიტლერის გერმანიას აგებს ჯიშმარტად ტოტალურ, ეს იგი, ვადაშწყვეტ, ყოველსშემცველ დამარცხებას, რის შედეგადაც ფაშისტური ჩაგვრა სამუდამოდ მოიხსნება.

„პრავდის“ მოწინავე, 11/VIII.

სრულიად-სლავური მიტინგი მოსკოვში

11 აგვისტოს გაიმართა სრულიად-სლავური მიტინგის მეორე, დასკვნითი სხდომა.

სხდომა გაიხსნა უკრაინელი მწერლის აკადემიკოს ალექსანდრე კორნეიჩუკის დიდი სტატვით. თავიანთ დიდ ენაზე სიტყვა წარმოსთქვეს: პოლონელმა მწერალმა ეინდა ვასილევსკაიამ, ბელორუსიის სახალხო პოეტმა იანკა კუპალამ, ლოვაკიის საზოგადო მოღვაწემ, ჩეხოსლოვაკიის პარლამენტის დეპუტატმა მარეკ ჩულენმა და იმიერკარპატის უკრაინის საზოგადო მოღვაწემ, ჩეხოსლოვაკიის პარლამენტის დეპუტატმა ივანე ლოკოტამ. მათი სიტყვები გაჟღენთილი იყო უმრეტი სიძულვილით სლავთა მძვინვარე მტრისადმი — გერმანელი ფაშიზმისადმი. ისინი თავიანთ ხალხებს მოუწოდებდნენ წმინდა ომისაკენ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვეს გერმანელმა მწერალმა — პოეტმა ოიჰანეს ბეხერმა და ფრანგ-ტურგმა ფრიდრიხ ეოლფმა, რომლებმაც თავიანთ სიტყვებში გამოსთქვეს გერმანელი ხალხის საუკეთესო ნაწილის სოლიდარობა მთელ მოწინავე კაცობრიობასთან, რომელიც აღსდგა ჰიტლერიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

სიტყვა მიეცა რუს მწერალს ალექსანდრე ფადეევს. მან მოსკოვის სრულიად-სლავური მიტინგის სახელით წაიკითხა მოწოდება მსოფლიოს ყველა ჩაგრული სლავი ხალხისადმი. შემდეგ ეს მოწოდება თავიანთ დიდ ენაზე წაიკითხეს: უკრაინელმა მწერალმა ალექსანდრე კორნეიჩუკმა, ბელორუსიის სახალხო პოეტმა იანკა კუპალამ, პოლონელმა მწერალმა ეინდა ვასილევსკაიამ, ჩეხოსლოვაკიის საზოგადო მოღვაწემ პროფესორმა ზდენეკ ნეედლიმ, სერბიის საზოგადო მოღვაწემ პროფესორმა ბოჟიდარ მასლარიჩმა, ბულგარეთის საზოგადო მოღვაწემ დოქტორმა ა. სტოიანოვმა, სლოვაკიის საზოგადო მოღვაწემ, ჩეხოსლოვაკიის პარლამენტის დეპუტატმა მარეკ ჩულენმა, სლოვენიის საზოგადო მოღვაწემ, ეურნალისტმა ივანე რეგენტმა და ხორვატიის საზოგადო მოღვაწემ ოერო სალიამ.

მოწოდებაში გამოთქმულია მსოფლიოს ყველა სლავ ხალხთა აზრები და სანუკვარი მისწრაფებანი, გამოთქმულია მათი ურყევი ნებისყოფა — გამარჯვებით დაავეროვნოთ ბრძოლა ფაშისტი დამპრიხელების წინააღმდეგ.

„ეროვნული ფრონტი“ ჩვენს გამარჯვებას ჰპირდებოდა ჰიტლერიზმზე! მოწოდების ეს დასკვნითი სიტყვები გახდებიან საბრძოლო ლოზუნგი, რომლითაც დაფძინებული ჰიტლერიზმი — გერმანელი ფაშიზმის წინააღმდეგ სამეფონი ბრძოლა ეროვნულ-სოციოლეო ბრძოლა ეროვნულ-სოციალისტურ ბრძოლა ეროვნულ-სოციალისტურ ბრძოლა ეროვნულ-სოციალისტურ

ძმებს ჩაგრულ სლავებს

სლავი ხალხების წარმომადგენელთა გამოსვლები სრულიად-სლავურ მიტინგზე, რომელიც 1941 წლის 10 აგვისტოს შესდგა მოსკოვში

მთელი სლავური სამყარო უნდა გაერთიანდეს ფაშიზმის გასანადგურებლად

რუსი მწერლის, აკადემიკოს აღექსი ტოლსტოის სიტყვა

სლავებო, რუსებო, უკრაინელებო, ბელორუსებო, პოლონელებო, ჩეხებო, სლოვაკებო, სერბიელებო, ხორვატებო, მაკედონელებო, ჩერნოგორელებო, ბულგარელებო, სლოვენებო, იმიერკარპატის უკრაინელებო, — ყველა სლავო, ვინც ერთი ძირის მოძმე ენებზე ლაპარაკობთ, ყველა სლავო, ვინც ფდესდა წარმოადგენდით მონათესავე ტომების ერთიან ჯგუფს და აწარმოებდით ბრძოლას თქვენი დამოუკიდებლობისათვის, ნაციონალური კულტურისა და მშვიდობიანი შრომის უფლებისათვის!

სლავებო, დადგა ჟამი, როდესაც მთელი სლავი ხალხი უნდა გაერთიანდეს იმისათვის, რომ სასწრაფოდ და საბოლოოდ განთავისუფლდეს ჰიტლერის მხრივ ჩაგრისაგან. ჩვენ ვერთიანდებით როგორც თანასწორნი თანასწორთა შორის. ჩვენს შორის არ უნდა იყენენ დიდნი ან მცირენი. ჩვენ გვაქვს ერთი ამოცანა და ერთი მიზანი—ჰიტლერის არმიების განადგურება და ნაციონალ-სოციალიზმის მთელი სამხედრო-იერარსიორული სისტემის მოსპობა. ჩვენ გვაქვს ერთი მტრიგალე ყოველისშემცველი მისწრაფება,—რომ სლავი ხალხები, ისე როგორც ჩვენი მეზობელი ყველა ხალხები და სახელმწიფოები, აგრეთვე ყველა სხვა ხალხები მშვიდობიანად და მყუდროდ ვითარდებოდნენ თავიანთი სახელმწიფოებრიობის ჩარჩოებში. ჩვენ ვერთიანდებით ერთ ფრონტში, — და ეს კვლავ და კვლავ მთავრდება ფაშისტებისათვის დამსხვრეული ლითონის გროვებით და გერმანელთა სხეულის ნაფლეთებით. მტერი ძლიერი და საშიშია, მაგრამ მას უკვე ემჩნევა დაღლილობისა და ბაზრწნის ყოველგვარი ნიშანი. მარცხთა დამთავრებული ელვისებური ომი ელვისებურად ნთქამს მის ადამიანთა და მატერიალურ რესურსებს.

6 კვირის განმავლობაში მოკლელი, დაჭრილი და ტყვედ წამოყვანილია მილიონნახევარზე მეტი გერმანელი. გერმანის არმიამ ოპერარა თავისი ტანკების ერთი მესამედი, ავიაციის ერთი მეხუთედი, მფრინავთა საუკეთესო კადრები, 8 ათასი საარტილერიო ქვემეხი. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია ომისა წითელ არმიასთან და ოდიდი ბრიტანეთის ძალთან. გერმანიის ეკონომიკა ძალისა და სამხედრო ტექნიკის მოსპობა სულ უფროდაუფრო საშინელი ზომით ფართოვდება.

მალე დადგება ჟამი, როდესაც სისხლისაგან დაცალილი ფაშისტი მხეცი დიდუფს უკანდახევას ძ უფსკრულისაკენ, რომელიც მან თვითონ გაბინძურა. დადგება ჟამი, როდესაც არა ამ სერბიელს, ან პოლონელს, ან კრაინის, მაკედონიის და ჩერნოგორიის მთებში ყოფ პარტიზანს დახვრეტენ თვითეული მოკლული გერმანელი ჯარისკაცის სამაგიეროდ, არამედ თვითეული ნაწამები სერბიელის, პოლონელის, ჩერნოგორელის, ჩეხის, ბულგარელის, ჩინაკის, იაგოდინის, ბანის ნახანძრევზე! მას აღვიძებს წმინდა სიძულილი იმისათვის, რომ ამ ცეცხლში სიმდუმდამდე დაიწვას და გაცამტვერდეს გერმანიის ფაშიზმის უგუნური, ბარბარისული, სისხლიანი ოცნება დაიმონოს და გასწყვიტოს სლავი ხალხი. სლავებო! ჩვენ ვერთიანდებით ბრძოლისა და გამარჯვებისათვის. ჩვენ ვერთიანდებით იმისათვის, რომ სლავების ყოველ ქვეყანასა, ისე როგორც ყველა სხვა ქვეყანასა, შეეძლოს თავისუფლად, მშვიდობიანად, თავისი ძალების სრული განთავისუფლებით შეჰქმნას საკუთარი კულტურა. ცოტა განძი როდი შეიტანა სლავობამ კულტურისა და ცივილიზაციის მსოფლიო საგანძურში. ფაშისტები ცდილობენ უარსყოფენ ეს. ჩვენ მადლობას ვწირავთ გერმანელ ხალხს საუცხოო მუსიკისათვის, ფილოსოფიისათვის, კარგი ძველი პოეზიისათვის და ეფრთხილებთ მას გაიწმინდოს ჰიტლერის ფაშიზმის ჭუჭყისაგან, რათა იხსნას თავისი არსებობა.

სამართლიანობისა და თავისუფლების იდეები ახლოგელია სლავი ხალხებისათვის. ჩვენ თავისუფლებისმოყვარეული ნი მშვიდობისმოყვარეული ნი ვართ. მაგრამ ჩვენ ბრისხავნ და შეუპოვარნი ვართ ბრძოლაში, როდესაც თავს დაგვეხმიან.

ბულოლინიმ გამოსცა დეკრეტი, რომელიც საკვდილით დასჯას ითვალისწინებს იარაღის შენახვისათვის. ამის პასუხად ჩერნოგორიაში მხოლოდ ორი შაბნასა ჩაბარეს. ასე უნდა მოიქცეს სლავი.

თავისუფლება ან სიკვდილი! ჩვენ გვსურს ჩვენი და ჩვენი მეზობლების მშვიდობიანი განვითარება. ჩვენ გვინდა საკაცობრიო თავისუფლების უმაღლესი მადლი: კულტურის, ხელოვნებისა და მეცნიერების განვითარება ეროვნული ნიშნებისა და ეროვნული ენების ბედნიერება. ჟალ ბრძოლა და ბედნიერება. კულტურა და არა ომი. ამ მაღალ საერთო-საკაცობრიო მიზნებისათვის საბრძოლველად აღსდექით, სლავებო! ძლევამოსილ ბრძოლაში გადავეშვით სისხლითა და ძარცვით მთვრალ ფაშისტ ბარბაროსთა წინააღმდეგ! სიკვდილი ფაშიზმს!

გაუმარჯოს განთავისუფლებულ სლავურ სამყაროს! გაუმარჯოს ჩვენს ძალიერ მოკავშირეს — დიდ ბრიტანეთს! დაე ცოცხლობდეს და დღეგრძელობდეს მსოფლიოს ყველა ქვეყანა და ყველი ხალხი, რომელიც ფაშიზმს ებრძვის!

(მიტინგის ინფორმაციის გაგრძელება იქნება შემდეგ ნომერში).

უცხოეთის პრესა გერმანიის რაიონზე

საბჭოთა ავიაციის თავდასხმების შესახებ

ლონდონი, 11 აგვისტო (საკდესი). ბერლინის რაიონზე საბჭოთა ავიაციის თავდასხმებმა ლონდონში უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა და მას გაცხოველებით უკეთებენ კომენტარს პრესა და რადიო. გაზეთი „დეილი მეილი“ ეწინ მორნინგ პოსტი“ აღნიშნავს, რომ ბერლინზე რუსეთის ავიაციის პირველი თავდასხმა გერმანელებისათვის სრულიად მოულოდნელი იყო. რუსეთის გიგანტურმა ყუმბარაშენებმა ბერლინის მიდამოებში ყუმბარები დააყარეს საწარმოებსა და ელექტროძალოვან სადგურებს. „დეილი მეილი“ აგრეთვე სწერს, რომ ეს თავდასხმა გერმანიის საპაერო თავდაცვისათვის მოულოდნელი იყო და აღნიშნავს საბჭოთა მფრინავების დიდ ოსტატობას და საბჭოთა თვითმფრინავების მიერ მოხდენილი ბომბარდირების ეფექტიანობას.

„ნიუს ქრონიკლი“ მოწონაეკ სტატიაში მაღალ შეფასებას აძლევს ბერლინზე თავდასხმას, რაც საბჭოთა ავიაციამ ჩინებულად ჩაატარა. გაზეთი აღნიშნავს, რომ თავდაპირველად „გერმანელები ცდილობდნენ დაემალათ საბჭოთა თვითმფრინავების მიერ ბერლინის ბომბარდირების ფაქტი, მაგრამ შემდეგ იძულებული გახდნენ აღიარებინათ ეს ფაქტი. ბერლინელებმა, რომლებსაც ერთ დროს არწმუნებდნენ, საჰაერო თავდასხმის საფრთხე არ გვემეგრებათო, ახლა იციან, რომ მათი ცხოს 2,5 შლინგი.

ფედერაციის ალმასკომს განზრახვა აქვს შეგროვებული სახსრებით მოაწყოს საველე ლაზარეთი და შეიძინოს სანიტარული ავტომობილები დაჭრილთა გადასაყვანად და მედიკამენტებით წითელი არმიის მეომრებისათვის.

ინგლისის მაღაროელები სსრ კავშირს ეხმარებიან

ლონდონი, 10 აგვისტო (საკდესი). 9 აგვიტოს ინგლისის სამთამადნო მუშათა პროფკავშირის ფედერაციის ალმასკომმა მიიღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ პროფკავშირის თვითეულნი წევრმა წითელი არმიისაფვის დახმარების გაწევის ფონდში გადარიცხოს 2,5 შილინგი. ფედერაციის ალმასკომს განზრახვა აქვს შეგროვებული სახსრებით მოაწყოს საველე ლაზარეთი და შეიძინოს სანიტარული ავტომობილები დაჭრილთა გადასაყვანად და მედიკამენტებით წითელი არმიის მეომრებისათვის.

ოკუპირებული ქვეყნების ხალხთა ბრძოლა

სტოკჰოლმი, 11 აგვისტო (საკდესი). 4 აგვისტოს ლონდონ ე